საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

პეტიცია საპარლამენტო ფრაქცია ქართული ოცნება - მრეწველების ლიდერების მიერ ბოლო დროს გაკეთებულ ანტი-დასავლურ განცხადებებზე

უაღრესი შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს ბოლო დროს საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქცია Ф□□□□□□□ ოცნება - მრეწველების □ ლიდერების, ბატონ გოგი

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

თოფაძისა და ბატონ ზურაბ ტყემალაძის, მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას. აღნიშნული ცალსახად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოსახლეობაში საქართველოს ევროინტეგრაციის კურსის მიმართ ნიჰილისტური განწყობებისა და ანტი-დასავლური დამოკიდებულების ღია და დაუფარავ დამკვიდრების მცდელობად. ამავე დროს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ფრაქციას საკუთარ პოლიტიკურ პლატფორმაში გაცხადებულ მიზნებს შორის დასახელებული აქვს ევროკავშირთან და ნატოსთან ~~ინტეგრაციის გაღრმავება~~ ფრაქციის ლიდერთა ბოლო დროინდელი საჯარო განცხადებები ამ კურსის მკვეთრად საპირისპირო ხასიათს ატარებს.

მეტიც, ფრაქცია Ḍ□□□□□□□ ოცნება - მრეწველების □ თავმჯდომარის ბატონი გოგი თოფაძის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში უნდა შეიზღუდოს და აიკრძალოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, აგრეთვე მათი დადანაშაულება ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობაში, პარალელების გავლება ერაყთან, იუგოსლავიასთან, არაბეთის ქვეყნებთან არის რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიციის იდენტური ამ საკითხის მიმართ და შეიძლება ჩაითვალოს როგორც ღია მუქარა საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ამასთან ერთად, თავის საჯარო განცხადებებში ბატონი გოგი თოფაძე პირდაპირ ადანაშაულებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს - შეერთებულ შტატებს, არასამთავრობოების მეშვეობით სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობის მხარდაჭერაში აღნიშნულ ქვეყნებში. Ḍ□□□□□□□□□□ □□ როგორც მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიის აღნიშნული პოზიცია საფრთხის ქვეშ აყენებს ასევე საქართველოს და დასავლეთის პარტნიორი სახელმწიფოების სტრატეგიული ურთიერთობას.
მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ Ḍ□□□□□□□ ოცნება □ არის სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებებისგან შემდგარი კოალიციური ერთობა, ვფიქრობთ, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და შიდა დემოკრატიული მოწყობის არჩევანი თანაბარწილად გაზიარებული უნდა იყოს მასში შემავალი ყველა პარტიის მიერ. ყოველ შემთხვევაში ამას ადასტურებს კოალიციის წინასაარჩევნო პლატფორმა.

ყოვლად წარმოუდგენელია, მაღალი პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალ სუბიექტებს გააჩნდეთ განსხვავებული მიდგომა ისეთ სტრატეგიულ და ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორც არის ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის, უსაფრთხოებისა და საგარეო-პოლიტიკური ვექტორის საფუძვლები. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან ჟამს, როდესაც საქართველო წარმატებით ცდილობს მოახდინოს ინტეგრაცია ევროკავშირთან, როდესაც პირველად მიღწეულია შეთანხმება საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნასთან

დაკავშირებით, როდესაც რუსეთის ფედერაცია ახდენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ანექსიას, მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მხრიდან მსგავსი შინაარსის განცხადებები ატარებს ქვეყნისთვის საგანგაშო და საზიანო ხასიათს და იმსახურებს საზოგადოების მხრიდან შესაბამის რეაგირებას.

აქედან გამომდინარე, ქვევით ხელმომწერი ორგანიზაციები და მოქალაქეები, მოვუწოდებთ კოალიცია Ḍ□□□□□□ ოცნების □ წევრ პოლიტიკურ გაერთიანებებს საჯაროდ გამოხატონ საკუთარი პოზიცია მათი კოლეგების ანტი-დასავლურ განცხადებებთან დაკავშირებით;

მოვუწოდებთ Ḍ□□□□□□ ოცნების □ კოალიციურ და პოლიტიკურ საბჭოებს იმსჯელონ და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ "ქართული ოცნების" კოალიციური საბჭოს წევრების განცხადებებზე, რადგან ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური კურსი არის საქართველოს მოსახლეობის მიერ რეფერენდუმზე მხარდაჭერილი ღირებულება და არჩევანი, რომლისკენაც მიისწრაფის ჩვენი საზოგადოება. შესაბამისად, □□□□□□□ ოცნების" კოალიციის ზოგიერთი წევრის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ ეს თითქოსდა ბატონების გოგი თოფაძის და ზურაბ ტყემალაძის პირადი მოსაზრებებია, ვერ იქნება გაზიარებული ქართული საზოგადოების იმ უმრავლესობის მიერ, ვინც ჯერ კიდევ წლების წინ დააფიქსირა დასავლური კურსისადმი საკუთარი არჩევანი და ერთგულება.

აღნიშნულ განცხადებას ხელი უკვე მოაწერეს:

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI Georgia)
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
სამართლიანი არჩევენებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
ადამიანის უფლებათა ცენტრი
Economic Policy Research Center (EPRC)
Georgian Association of Regional Broadcasters (GARB)
კვლევითი ჟურნალისტიკის და ადვოკატირების ცენტრი (In-depth Reporting and Advocacy Center)
კონსტიტუციის 42-ე მუხლი

შემოგვიერთდით თქვენც! ~~იხილეთ პეტიციის ბმული.~~

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge